

# გიორგი ხოჯევანიშვილმა ქვიშხეთის მოსახლეობასთან შეხვედრისას წამოჭრილი საკითხები ხაშურის მერთან განიხილა

12 სექტემბერი 2018

შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში მერს და მუნიციპალიტეტის სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებები, მათ შორის, ქვიშხეთში მოსახლეობასთან დადამსვენებლებთან შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხები, რათა მომავალ ტურისტულ სეზონს ქვიშხეთი გამართული ინფრასტრუქტურითა და გაუმჯობესებული გარემოთი შეხვდეს.

განხილულ თემებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ასევე, იმსჯელეს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაზე და პრიორიტეტულ საკითხებზე.